დილა

№4, 2016

ДИЛА
112
ДЛОВАНА
65 წელი
დილაში
ძუ მგლის თვალები
თეთრი, ალვანაზის სარკმლიანი სახლი

დოდო ხიმშიაშვილს!

თითქოს სულ ახლახან იყო... მიხედვაც ვერ მოვასწარით, ისე შემოგვძარცვია თორმეტი გაზაფხული; მე კი გუშინ მეგონა ჩემი ასი წლის იუბილე და, შეხეთ, მთელი თორმეტი წელი გაფრენილა თურმე...

ას თორმეტი წლის ყრმა-მოხუც „დილას“ რა არ მახსოვს, მით უფრო, საკუთარი საიუბილეო დღეები – სითბოთი, სიყვარულით, სიხარულით გაჯერებული...

მაშინ ერთგულ მომლოცველთა შორის თქვენც ბრძანდებოდით, ქალბატონო დოდო. ახლაც ჟრუანტელად მივლის თქვენი სითბო, მეცხრე ცას მიხსნის აგანთიადებული თქვენი ღიმილი, მაგრამ ყოველივე ეს რა მოსატანია იმ სიხარულთან, იმ ჟრუანტელთან, რასაც თქვენი მოთხრობები მანიჭებდა და, იმედია, კვლავაც მომანიჭებს. თქვენი ნაწარმოებები ძვირფასი სამშვენისივით ამკობდა ჩემს ფერად, თვალწარმტაც ფურცლებს, როგორც სინათლე და სრულყოფილება...

ყოველთვის ახალ, განუმეორებელ, „უცხო“ რეალობად შემოდიოდა თქვენი შემოქმედებითი სინამდვილე ჩემში, ზოგჯერ ტკივილით, ცრემლებით, საოცარი სევდით... მაგრამ თქვენეულ ნაღვაწში ჩემს ხარბ მზერას ყოველთვის შემოეფეთებოდა ხოლმე ხასხასა ცისფერი, როგორც სიმბოლო უზენაესის ნებისა, ჭიაფერი – მსახურება ტაძარსა შინა და აღსრულება მსხვერპლშეწირვისა, მეწამული – როგორც სიმბოლო მარადიული სიცოცხლისა, და პირველთოვლისფერი კვალდაუმჩნეველი სითეთრე – დასაბამიერი სიწმიდე სულისა!..

და, აგერ, ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც ერთად მოვდივართ, მოვდივართ უსასრულობიდან, მივემართებით უსასრულობისკენ...

მაშინ მე გახლდით იუბილარი, ახლა კი თქვენ ბრძანდებით!.. გილოცავთ!.. მალე საუკუნესაც მოგილოცავთ და მოგესიყვარულებით. ჩვენ წინაშე ყოვლისმომსვრელი დროც კი უძლურია. ჩვენ მარადიულ ყმაწვილებად დავრჩებით ყველა დროში, ყველა სივრცეში, რადგან ჩვენ მომავალი გვქვია და გზა ჩვენი მარადისობასა და უსასრულობაზე გადის!..

მარადის თქვენი პატივისმცემელი **„დილა“!**

P.S. ძვირფასო ბავშვებო!

ჟურნალის ამ ნომერში რაც ლიტერატურული მარგალიტებია გაბნეული, ეს ყველაფერი, ქართველ კლასიკოს საბავშვო მწერალს, უსათნოეს და ულამაზეს ქალბატონს, დოდო ხიმშიაშვილ-ვადაჭკორიას ეკუთვნის!

ერთი სიტყვით, ჟურნალის ეს ნომერი მთლიანად „დილის“ უძვირფასეს ავტორს, დიდი ხნის მეგობარს ეძღვნება – ქალბატონ დოდოს და „დილას“ ხომ 65-წლიანი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებთ.

ბავშვებო, რაც ამ ჟურნალში პირველი გვერდიდან ბოლო გვერდამდე სიყვარული და სილამაზე ტრიალებს, ეს თქვენთვის შექმნა უკეთესი მომავლისთვის დამაშვრალმა მწერალმა.

ნინო არსენაშვილი

ჩვენს საყვარელ მწერალს, დოდო ხიმშიაშვილს

ო, რა დრო გასულა, ო, რა დრო გასულა,
ბავშვობის ხილვები ზღაპრებში წასულან.
ფერიებს კვლავ მტრობენ დევები ავსულა,
ო, რა დრო გასულა, ო, რა დრო გასულა.
ნაქარგ ქონდრისკაცებს ტეისაკენ მივუვებით:
გზადაგზა გვხვდებიან ზღარბები, ციყვები.
გულივერს მოვუხმობთ წიგნიდან საშველად,
რომ ზღაპრულ ურჩხულებს ვებრძოლოთ საშინელს
და ასე ერთობით ვიმარჯვებთ მაშინვე.
ბოროტი, ავსული ჩვენ სულ არ გვაშინებს,
სიკეთეს მოვუხმობთ ბრძოლაში საშველად
და ასე ვაშენებთ.
და მერე მაღლდება, და მერე მშვენდება
ქართული ზნეობა, მწერლობა – ტაძარი,
ეს ჩვენი გულები თქვენს სიტყვას ენდობა,
ლექსიც მოგიძღვენით მოლოცვის სადარი.

გაიგე, რა ერქვა იუბილარის „დილაში“ გამოქვეყნებულ პირველ მოთხრობას. *(გასაღები იხილე გვ. 10-ზე)*

თინა ჭეჭია

ოცდათი ზამთრის წინ

ქალბატონ დოდო ხიმშიაშვილს

ჩვენო დიდო ქალბატონო,
„დილის“ თეთრო დიდედავ,
მახსოვს, ივნისის მზე ციდან
თმაზე ოქროს გვიბნევდა.

თითქოს წვიმდა, და არც წვიმდა
ირგვლივ თოვდა ნარცისი,
ჩვენ ვფურცლავდით ცინცხალ „დილას“
ოცდაათი ზამთრის წინ.

თეთრი კენჭი

– ქათამი! ქათამი!

– რა ლამაზია! ვინ მოიყვანა? – გარს შემოეხვივნენ ბავშვები ჭრელ დედალს.

– ქათამი ლიზიკომ მოგვიყვანა. დიდედამ ჩამოუყვანა სოფლიდან, – თქვა დეიდა ქეთევანმა.

– ბაღში რატომ მოიყვანე? – ახლა ლიზიკოს მიუბრუნდნენ ბავშვები.

– სახლში უჩემოდ მოწყენილია ჭროღა, აქ უფრო კარგად იქნება.

ცოტა ხნის შემდეგ ცოცხალ კუთხეში ჭროღა ქათამს საუკეთესო ადგილი დაუთმეს, საკენკი დაუყარეს, წყალი დაუდგეს.

მეორე დილით მორიგემ თევზები დააპურა, კურდღელს სტაფილო მიაწოდა, მტრედებს საკენკი დაუყარა. უცბად სკამის ქვეშ რაღაც თეთრს მოჰკრა თვალი და სწრაფად წაავლო ხელი.

– კვერცხი, კვერცხი! – დაიყვირა მან,– ჭროღამ კვერცხი დადო!

ერთი აურზაური ატეხეს ბავშვებმა. თბილი კვერცხი ხელიდან ხელში გადადიოდა.

– რა ვუყოთ ამ კვერცხს? – იკითხა დეიდა ქეთევანმა. – შენ რას იტყვი ლიზიკო?

– დიდედამ მითხრა, დააგროვე, და ჭროღა წიწილებს გამოჩეკავსო.

ასეც გადაწყვიტეს. ყოველ დილით მორიგე ფრთხილად იღებდა ახალ კვერცხს და ბამბით მოფენილ ყუთში მოწიწებით ინახავდა. ყუთი მალე აივსო.

ერთ დღეს ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ ჭროღა გამოიცვალა, აღარც კვერცხს დებს, ბავშვებსაც ახლოს არ იკარებს.

– რა უნდა ჩვენს ჭროღას, რატომ გვიბრაზდება? – დაიბნენ პატარები.

– კვერცხების გამოჩეკა უნდა, – გაიცინა დეიდა ქეთევანმა.

დატრიალდნენ ბავშვები, საბუდარი გაუმზადეს, კვერცხებით აავსეს და ჭროღა ჩასვეს.

ახალი საზრუნავი გაუჩნდათ პატარებს. დეიდა ქეთევანმა კენჭები ჩაამწკრივა მაგიდაზე. მწკრივის ბოლოს თეთრი კენჭი იდო.

– ხვალიდან ბავშვებო, ყოველი მორიგე თითო კენჭს მოაკლებს მწკრივს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ აქ რამდენი კვერცხიც დევს, იმდენ დღეს უნდა იჯდეს ჭროღა კვერცხებზე. როცა აი, იმ თეთრ კენჭს ავიღებთ, წიწილებიც გამოიჩეკებიან.

დღე დღეს ემატებოდა და კენჭი მწკრივს აკლდებოდა.

– ვინ არის ხვალ მორიგე, ვის ხვდა თეთრი კენჭი? – კითხულობდნენ პატარები.

ლიზიკო იყო სწორედ იმ დღეს მორიგე.

აღელვებული შევარდა გოგონა დერეფანში. თეთრი კენჭი ნატვრის თვალივით აიტაცა და ყური მიუგდო, მაგრამ საბუდარში სიჩუმე იდგა. ჭროღა კი საბუდრიდან გადმოსულიყო და წყალს სვამდა. ლიზიკო კვერცხებს ჩააცქერდა.

– ჭახ! – გაუვარდა თეთრი კენჭი ლიზიკოს და პირდაპირ კვერცხზე მოადინა ჭახანი.

შეეშინდა გოგონას, კვერცხი გავტეხეო, და თვალებზე ხელი მიიფარა.

უცბად მკაფიოდ ჩაესმა:

– წივ-წივ-წივ!

– ლიზიკო, წიწილა გეძახის! – ვიღაცამ ჩასჩურჩულა ყურში.

გოგონამ ხელი მოიშორა და რას ხედავს!

თავზე დეიდა ქეთევანი წამოსდგომია, გატეხილი კვერცხიდან კი ყვითელი, გაწუწული წიწილა იჭყიტება და წივწივებს.



მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

ცალკე აწყვია კენჭები, რომლებიც მწკრივში დარჩა, ცალკე კი ისინი, რომლებიც ბავშვებმა უკვე აიღეს. გულდასმით გადათვალე და გაიგებ, რამდენი დღე სჭირდება წიწილების გამოჩეკას.

გაკვეთილი

– გამარჯობათ, მე სარკე ვარ. კოტე ჩემი მეგობარია. თქვენც იცნობთ? კარგი ბიჭია, მეოცნებე.

დღე ერთია და ათასნაირად იცვლის სახეს: ხან მეზღვაურია, ხან მთამსვლელი. ხშირად ცაში დაფრინავს.

ჩაიცვამს ტანსაცმელს, შემომხედავს, დამაცქერდება, თუ მოვიწონე, მომესალმება, მხედრულ სალამს მომცემს.

ჩვენ ერთნაირად მივდი-მოვდივართ, ერთნაირად ვჭრით გვირაბებს, დავაქროლებთ ელმავალს, გემებს, ამასწინათ მტრის ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიც ჩამოვაგდეთ.

მე ყველაფერში მხარს ვუჭერ ჩემს მეგობარს. რასაც ის აკეთებს, მეც იმას ვაკეთებ.



ახლა ჩემზე ნაწყენია.

კოტეს მამამ შარვალ-ხალათი მოუტანა. თქვენ გგონიათ ჩვეულებრივია? არა, უცნაურია. ორივე ერთადაა მოქსოვილი. ჯერ ფეხები გაუყარა, მერე ხელები, მერე კოხტად შეიკრა. ქუდიც ზედვეა, მაგრამ ჩამოფხატული აქვს.

– მერე რა, ზამთარში გამოადგება, – თქვა დედამ, აიღო და შეინახა. წარმოგიდგენიათ? შეინახა.

ზაფხულია ახლა. გარეთ ცხელა. რწყავს მანქანა ქუჩებს, შრება, რწყავს, ოხშივარი ასდის, შრება. გემრიელი ნაყინიც წუთში რძედ ექცა კოტეს.

იმ ლამაზ, ნაცრისფერ შარვალ-ხალათს კი ბურდღუნა დათვის ბეწვი აქვს გამოკრული, რა დროს იმის ჩაცმაა!

ეჰ, კიდევ კარგი საზაფხულოდ დაითხოვეს კოტე, თორემ განა მუდამ სცალია ჩემთვის.

გამოეწყობა სასკოლო ფორმაში, შემომხედავს და მოკურცხლავს სკოლისაკენ.

ახლა მოსწყინდა მეოცნებეს. ჩემ წინ გრილ იატაკზე ჩაჯდა, ჩაფიქრდა.

ალბათ ახალი რაღაც მოაგონდა, – ადგილიდან მოსწყდა. ერთი, თვალი გავაყოლო!

ჩუ, მოდის, კარმა გაიჭრიალა!

– ერთი ამას დამიხედე, ის უცნაური შარვალ-ხალათი არ ჩაუცვამს!

თავზე სამყურა ქუდი წამოუხურავს, ძმის ხელთათმანები ჩაუცვამს, სათვალე გაუკეთებია და შემომყურებს: აბა, მომწონს, თუ არა!

მერე რას აპირებ? – შევყურებთ ერთმანეთს, არქტიკაში ხომ არ მივდივართ?

მხატვარი
იულია ნიკოგოსოვა

არა, ვერ მივუხვდი...

წავიდა, სამზარეულოდან დიდმუცელა მინის ქილა გამოიტანა და ზედ თავზე წუწკ მელიასავით ჩამოიცვა.

– კოსმონავტი! – გამიხარდა მე. კოტესაც გაუბრწყინდა თვალები. ერთმანეთს ცხვირები მივადეთ, მერე შორიახლოდან დავაცქერდით. მართალია ქილიდან ცოტა ბუნდოვნად ვხედავთ ერთმანეთს, მაგრამ ეგ არაფერია.

ახლა ქილის ზემოდან ხარაბუზას რქებივით მავთულები კოხტად დავამაგრეთ, მაგრამ თითქოს რაღაც გვაკლია.

– მოიცა, ახლავე მოვალ! – შემომძახა კოტემ.

რას ვხედავ! ქაღალდზე ფერადი ფანქრებით დაუწერია კოტეს:

„აღმოსავლეთი 6“

– ყოჩაღ, ბიჭო, მაგრამ რითი გავფრინდებით?

– გავფრინდებით!

დიდი ყუთი გამოვიტანეთ. ძლივს, ვიშვიშით, რის ვაი-ვაგლახით ამოვათრიეთ, მერე ერთი რაღაც, გრძელი თოკი კუდივით ავითრიეთ და ელექტროდენში ჩავრთეთ.

– ბზზ, ბზზ, ბზრ, ბზრ! – გაისმა მტვერიყლაპიას ზუზუნი. მივცვივდით, მტვერიყლაპიას ქაღალდი ავაკარით, თვითონ ჩვენ რაშივით ზედ შემოვახტით და შევძახეთ:

– სტარტი! გავფრინდით! ვაშაა!

რომ იცოდე,
კოსმოსში აფრენა არც ისე ადვილია.
იქ მოსახვედრად მთელ ცაზე
ძაფის გორგალივით
აბურდული ღრუბლის
ლაბირინთის გავლა მოგიწევს,
მაგრამ თუ იყოჩაღებ და გაივლი,
შემდეგ ნომერში შენთვის
უკვე ნაცნობ ჩუსა და ზანზარას
ახალ თავგადასავალსაც გაიგებ.

ნინო არსენაშვილი

კიდევ რა მვჭირდება

თვალებით რომ ვხედავთ, ყურებით რომ ვისმენთ, ცხვირით რომ ვყნოსავთ და პირით რომ ვაგემოვნებთ, ეს ხომ ყველამ ვიცით თუნდაც ზღაპარ „წითელქუდადან“. მაგრამ, ნეტავ, ბევრმა თუ იცის – გული იმიტომ გვიცემს, რომ გვიყვარდეს. თუ არ იცოდით, დღეიდან თქვენც დაიხსომეთ – გული სიყვარულისთვის არის გაჩენილი.

თქვენ მეტყვით, სიყვარული ათასნაირიაო. განა თვალით კი ათასნაირ რამეს არ ვხედავთ? ყურით ათასნაირ რამეს არ ვისმენთ? საჭმელსაც, გაგიხარიათ, ათასნაირს ვაგემოვნებთ.

მაშ, რაღა დაგვრჩენია?! – რა და, უნდა ვისწავლოთ: როგორ დავინახოთ, როგორ მოვისმინოთ, როგორ შევიგრძნოთ სურნელი და თუნდაც საჭმელი როგორ დავაგემოვნოთ. ყველაზე მთავარი კი ის არის, ვისწავლოთ, როგორ გვიყვარდეს.

ალბათ, ფიქრობთ, მაგას რა ბევრი სწავლა უნდაო. მე კი გეტყვით, რომ უნდა სწავლა და ძალიანაც უნდა; თანაც ამას მარტო დედ-მამა და პაპა-ბებია ვერ შეძლებენ, ჩვენი საყვარელი საბავშვო მწერლებიც თუ არ მოვიშველიეთ. აგერ, თუნდაც გვერდით რომ გვყავს ცოცხალი მაგალითი, მხცოვანი მწერალი დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია. მხცოვანი, იცით, ალბათ, ჭაღარათმიან ასაკოვან ადამიანს ნიშნავს (თან როგორ უხდება ეს ჭაღარა, გვირგვინივით ადგას მის ნათელ შუბლს). მის მოთხრობებს რომ წაიკითხავ, მიხვდები: დანახვა, უბრალოდ, დანახვა რომ არ არის, მოსმენა – უბრალოდ, რაიმეს გაგონება, დაყნოსვა – უბრალოდ, სურნელის შეგრძნება, დაბოლოს, ეს ყველაფერი სიყვარულს რომ ემსახურება.

პატარა ნაწყვეტს მოვიყვან მისი ახლად გამოქვეყნებული მოთხრობიდან „მშვიდობაში“: „ლამაზია ჩვენი სოფელი, გარშემორტყმული გორაკებით, მთებით. შორს, ძალიან შორს, თითქოს ნისლში კიდიაო, აზეულას ციხე მოჩანს, შუაგულ სოფელში კი, აღმართის თავში, ხასხასა მწვანე ბალახით დაფარულ გორაკზე უგუმბათო უძოს ეკლესია დგას ეზოში ამოკოხტავებული ოლეთი.

მწვანეში ჩაფლულ სოფელს დაბლიდან ნაძვნარი აკრავს, მაღლიდან – ხშირი, ფოთლოვანი ტყე. ტყეში ათასგვარი სასუსნავია. რა გინდა, სულო და გულო – კაკალი, თხილი, წაბლი ზღმარტლი, კუნელა, მოცხარი.

აი, ზამთარში კი დიდი თოვლი იცის ჩვენმა სოფელმა – თოვლისგან იზნიქება ნაძვნარი. მერე კი, შეთხელდება თუ არა თოვლი, ბუჩქებისა და ხეების ძირში ამოყელყელავდებიან ენძელები, ყოჩივარდები, ატმისსუნა ფურისულები და ერთ მშვენიერ დილას ლურჯთვალა ია, თავის ფოთლებზე თავმიდებული, ამოგვხედავს“.

აი, როგორ უნდა დაინახო, როგორ უნდა შეიგრძნო, როგორ უნდა გიყვარდეს. და, თუ მართლა გინდა, ისწავლო დანახვა, მოსმენა, სურნელის შეგრძნება, დაგემოვნება და, რაც მთავარია, სიყვარული, ამ საოცარი საბავშვო მწერლის თითო მოთხრობა მაინც ყოველდღე უნდა წაიკითხო.

მე ასე ვფიქრობ, შენ?



ქართველი კლასიკოსი საბავშვო მწერალი, ვისი სახელობის პრემიაც მიენიჭა დოდო ხიმშიაშვილს 1985 წელს.
(გასაღები იხილე გვ. 10-ზე)

ჭიიარა ფეხსაცმელი

მხატვარი
ვაჟა ქურხული

დედამ თამრიკო ფეხსაცმელების საყიდლად წაიყვანა.

ფერად-ფერადი ფეხსაცმელებით აჭრელებულ მაღაზიაში გოგონა ხელიდან გაუსხლტა დედას და დახლთან მიიჭრა.

– აი, ის მომეცი, ძია, აი, ის! – პაწია თითით უჩვენა მოხუც გამყიდველს პრიალა ფეხსაცმელზე და ფეხის წვერებზე აიწია.

– რომელი, ეს ლურჯები? პატარები ხომ არ გექნება?

თამრიკომ ჯიუტად გაიქნია თავი, ძველი ფეხსაცმელი წაიძრო და ახლის გასასინჯად მოემზადა.

– პატარა გექნება, შვილო. აი, ნახე, ცერი ზედა გაქვს მიბჯენილი. – შეყოყმანდა დედა.

– არა, დედიკო, შენი ჭირიმე, სულ არა მაქვს პატარა. აი, ნახე, – უთხრა თამრიკომ დედას და ძირს დაადგა ფეხი, – დიდიც კი მაქვს, მეხდება კიდეც.

მალე გოგონამ მეორეც ჩაიცვა, ასკინკილით გავიდა მაღაზიიდან და დედასთან ერთად გზას გაუდგა.

თამრიკო ხელს არ ჰკიდებდა დედას, წინ მირბოდა და თან წარამარა ფეხსაცმელებზე იყურებოდა. მაგრამ მალე ნაბიჯს უკლო, პრიალა ფეხსაცმელმა თითქოს კბენა დაუწყო გოგონას, დედას ჩამოეკიდა და სახე მოეღრუბლა.

სახლამდე ძლივს მივიდა. სიმწრისაგან ცრემლები მოადგა, ხან ერთ ფეხზე ისვენებდა და ხან მეორეზე, ფეხსაცმელები კიბეზე გაიძრო და სახლშიც ძლივს ავიდა.

– აი, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს-მეთქი. – უთხრა თამრიკოს დედამ.

– ეჰ, ნეტავი მეც ტყუილივით მოკლე ფეხები მქონდეს, მაშინ ეს ფეხსაცმელი ხომ აღარ მომიჭერდა! – ამოიოხრა თამრიკომ.

თამრიკოს წალი ფეხსაცმელი აქვს. აპოვნინე მისი წყვილი.



თუ ციფრების მაგივრად სწორად ჩასვამ ასოებს, საათის ისრის მიმართულებით წაიკითხავ, რომელ თავადურ შტოს ეკუთვნის მწერალი დოდო ხიმშიაშვილი.



გაიგე, ვინ იყო ჩვენი იუბილარის ძმა, მწერალი, რომელიც 27 წლის ასაკში ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

ყრიპტოგრამის გასაღები

ა — 1	მ — 11	ღ — 21
ბ — 2	ნ — 12	შ — 22
გ — 3	ო — 13	ხ — 23
დ — 4	პ — 14	ჯ — 24
ე — 5	რ — 15	
ვ — 6	ს — 16	
თ — 7	ტ — 17	
ი — 8	უ — 18	
კ — 9	ფ — 19	
ლ — 10	ქ — 20	

ამ გასაღების საშუალებით ჟურნალის სხვადასხვა გვერდზე კიდევ ბევრ საინტერესო ფაქტს გაიგებთ მწერლის შესახებ.

ISBN 978-9941-0-8820-1
© „ლიტერა“
2016

დიდედა პატარა გოგონების განრისხებულ სახეს ჩააცქერდა და მათი მუშტების დანახვაზე გემრიელად გაიცინა. დები ერთად შემოტრიალდნენ, დიდედას შემოეხვივნენ და თითქმის ერთხმად წამოიძახეს:

– დიდედა, როგორ გიხდება სიცილი! სულ მუდამ ასე გაიღიმე, რა?!



იმ სახლის პირდაპირ, სადაც დიდედა, ლიზიკო, რუსუდანი და ქეთევანი ცხოვრობენ, მეორე სახლია. იმ სახლის კედლებზე ვაზია აყოლებული და იმ ვაზის ფოთლების ტევრში იბუდებს და ზამთრობით თავს აფარებს ბევრი, ძალიან ბევრი ბეღურა.

დიდედას სახლის შუშაბანდიდან ნათლად ჩანს, როგორ გამოიშლებიან ხოლმე ბეღურები გუნდ-გუნდად, აფრინდებიან მაღლა, მერე მიწაზე ქვებივით ცვივიან, მაგრამ კატებისა და ადამიანების შიშით, გაფანტულები და დამფრთხლები ისევ ტევრში იმალებიან.

– ცუგო, – ტაში შემოვკარი, – ესენი ვინ არიან? – ჩავეკითხე. ძაღლი თავისებურად დატრიალდა. უკან მოექცა შვილებს, მერე კი თითო-თითოდ თავისი ოთხკუთხედი ცხვირით წინ წამოყარა ლეკვები, თავად კი მე ამეტოტა კალთაზე.

– ჩემო ცუგო, ცოდო არა ხარ, ლაპარაკი რომ არ იცი? თუმცა ყველაფერს მიგიხვდი, – ვუთხარი.

სამზარეულოდან სასწრაფოდ გემრიელი წვნიანი გამოვუტანე და დედას და შვილებს მივართვი.

ახლაც ყურში ჩამესმის მათი პატარა პირების წკლაპუნი; ცუგოს შემოხედვა და ყეფა-წკმუტუნი არ მავიწყდება. ნეტავ, რისი თქმა უნდოდა, ჩემო პატარავ? ალბათ, მადლობას მეუბნებოდა, არა?!

ერთ დღესაც დიდედა საქმეს შეუდგა. გოგოები სკამზე შესკუპტდნენ, ეზოში გადაიხედეს, ბეღურებს მინაზე კაკუნით უხმობდნენ და მხიარულობდნენ. დიდედა აფრთხილებდათ – ნელა ჩემო ჩიტებო, არ ჩამოცვივდეთო. გოგოები იცინოდნენ: ჩვენ გვეუბნები დიდედ თუ ბეღურებსო.

ერთიც ვნახოთ, უეცრად ბავშვები ერთხმად აყვირდნენ:

– დიდედა, დიდედა!

– რაო, ჩემო კარგებო, რა მოგივიდათ? – სწრაფად მიეჭრა დიდედა.

– შეხედე, შეხედე, ვიღაც ბიჭი ჩიტებს ქვებს ესვრის.

დიდედამ სასწრაფოდ სარკმელი გამოაღო, ბიჭს გადასძახა:

– ბიჭუნა, ჩემო კარგო. არ გეცოდება ჩიტები?

დილა გათენდება თუ არა, სამეზობლო ჭიშკრის ღრიჭოში გამოძვრება და ისე გამოექანება ჩემკენ, თითქოს სოფლის ახალი ამბავი უნდა მითხრას. წკმუტუნით, კუდის ქნევით წამოვა, კალთაზე ამეტოტება და ხელებზე მელამუნება – ალოკვას ლამობს. აბა, ერთი მითხარით, რა გული გაგიძლებს, რამე გემრიელი არ მიართვა და ეს ალერსი უქმად ჩაუტარო. ჰოდა, გამოვუტან სამზარეულოდან თბილ-თბილ წვნიანს, შიგ პურს ჩავუფშვნი და დაიწყებს გემრიელად ჭამას, დროდადრო ამომხედავს, კუდაქიცინებული ისეთი თვალებით მიყურებს, თითქოს მეუბნება: ეს რა გემრიელი შეჭამანდიაო.

ასე გადის დღეები. ცუგა გასუქდა, დამშვენდა. ჩემი კეთილი მეზობელი იცინოდა: – ჩვენს საჭმელს პირს აღარ აკარებს: ნეტავ ასეთ გემრიელს რას აჭმევო?

ზაფხულის დღეები რომ მიილია, ქალაქს მივაშურეთ. ბავშვებს სკოლის გა-

ზამთარი დადგა, აცივდა, ქარმა დაუბერა. ბელურებს, ეტყობა, შესცივდათ. ახლა იშვიათად ჩნდებიან. ბავშვები და დიდედა ხშირად უთვალთვალებენ ფრინველებს, ყოველ დილით ძველ პურს ფხვნიან და დამშეულ ბელურებს აპურებენ.



დილით ადრე დიდედას უკვე მზად აქვს ჩიტების საკენკი. გოგოები სულმოუთქმელად ელიან იმ წუთს, როდის გააღებს სარკმელს დიდედა, ჩიტებს გადასძახებს, მიმოაბნევს ნამცეცებს და... რომ იცოდეთ, რა ხდება ამ დროს – ბელურები შავი ღრუბელივით გამოსრიალდებიან საფარიდან, გამოიშლებიან, ერთი ჭყიპინითა და აურზაურით მოასკდებიან შუაბანდს. იწყებენ ნამცეცების კენ-



მეგობარი ცუგა არ გამოძვრა? გახარებული კუდის ქიცინით, წკმუტუნით ძველებურად გამოექანა ჩემკენ და თათები ისევ კალთაზე დამადო. გულში ჩავიკარი და ხმამაღლა ვუთხარი: „როგორა ხარ, ჩემო ცუგო, ხომ არ დამიბერდი?!“

არ ვიცი, მომეჩვენა თუ შემომიყეფა, თითქოს მითხრა – როგორ გეკადრებაო. უეცრად თათები მიწაზე დაუშვა, ერთი კი შემომხედა და შურდულივით გავარდა თავისი ეზოსაკენ. არ ვიცი, შევწუხდი, რომ წავიდა, თუ გავოცდი. სამზარეულოში საქმეს შევუდექი.

ალბათ, არც ისე დიდი ხანი გავიდა, ჩემი ცუგოს წკმუტუნი შემომესმა. სწრაფად გამოვედი ეზოში, გამოვედი და, იცით, რას ვხედავ?! ცუგო ჭიშკართან წამოსკუპებულა, მის უკან კი სათამაშოებივით ლამაზი, თვალებბრიალა, კუდებაპრეხილი ჭრელი, თეთრი, წაბლისფერი ლეკვები გაკვირვებული ბავშვებივით შემომცქერიან.



მხატვარი
ნატალია კუცია

„რაც ერთხელ ცხოვრად სულის დაჩნდების“

მწერალი თავის ბავშვობაზე

ყველა წლოვანება მშვენიერია, ჩემო კარგო, ბავშვობას მაინც არაფერი სჯობს. ალბათ იმიტომაც მიადვილდება, ეს მძიმე ტვირთი ჩემი მხრებით იოლად ვზიდო, რომ თქვენს ბავშვობაში ჩემს ცხოვრებას ვხედავ. ძალიან მიყვარს ჩემი სანუკვარი ბავშვობა. ასკინკილა, ღიღინ-ღიღინით რომ გავირბინე. ალბათ შემეკითხებით – მართლა მახსოვს? მახსოვს რომელია. ყოველი დღე მახსოვს. იწყებოდა ცისფერი გარიჟრაჟით, ჩიტების ჭიკჭიკით, ვარსკვლავების ციმციმით მთავრდებოდა. ვარსკვლავების ჟივჟივიც მესმოდა. ვხედავდი, როგორ დაჰხაროდნენ ჩვენს ცისფერ დედამიწას. ცაში გული არ უდგებოდათ, ჩვენკენ მოფრინავდნენ. ეს საამო საცქერი აგვისტოს ღამეებში ვარსკვლავთცვენა იყო. იწყებოდა ჩვენი აღტაცებული ჟივილ-ხივილი, თითები აღარ გვყოფნიდა ჩამოცვენილი ვარსკვლავების დასათვლელად, ხან კალთას შევუშვერდით, ხან პეშვს, სასწაულისა გვჯეროდა. გვეგონა, ულამაზესი ფიფქებივით დაგვაცვივდებოდნენ თავზე. მახსოვს, დღე იწყებოდა ბდღვრიალა მზის ამობრწყინებით, მთავრდებოდა ლურჯი მთების გადაღმიდან მორცხვი ბადრი მთვარის ამობრწყინებით; დღე იწყებოდა დედის ალერსიანი კოცნით, მთავრდებოდა იავნანათი დამტკბარი ძილ-ბურანში გახვეული გრძელი ჯადოსნური სიზმრებით; დღე იწყებოდა სკოლის ზარის წკრიალით, მთავრდებოდა შინიდან გამოსული გემრიელი კერძის სურნელით; იწყებოდა დღე მამას ჯიშიანი ძაღლების გნიასით, ჩემი ჭკვიანი ძმის წიგნის აღტაცებული კითხვით მთავრდებოდა. ბევრი სიყვარული, დიდი სილამაზე, დიდი ტკივილიც (თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ) მწარედ მახსოვს ასეთია ცხოვრება– ტკბილ-მწარე...

სასწაულისა ახლაც მჯერა. განა თქვენ, ჩემო საყვარელო ბავშვებო, სასწაულები არა ხართ? მაშ რატომ მიყვარხართ ასე ძლიერ?

ამიტომაც, მთელი გულითა და სულით მინდა კარგი ზღაპრები და მოთხრობები მოგართვათ. მინდა სასწაული მოხდეს, – თქვენც ისე შემიყვაროთ, როგორც მე მიყვარხართ.

იცით, თქვენოდენა რომ ვიყავი, პეპლები მიყვარდა. მე მათ მფრინავ ყვავილებს ვეძახდი. სოფელში გამგზავრებას, რომ დავაპირებდით, მამა პეპლების სხვადასხვა საჭერს იყიდდა. ჩემთვის წითელს დავიტოვებდი, დანარჩენს კი მეგობრებს ვაჩუქებდი. დავრბოდი მწვანედ ახასხასებულ, ყვავილებით აჭრელებულ მინდვრებში, მდინარის პირას,

გაიგე, რა არის ჩვენი იუბილარის ერთ-ერთი ჰობი?!

ქვიდან ქვაზე ვხტოდი, ვიჭერდი ფრთახატულა პეპლებს, მაგრამ ისევ ვათავისუფლებდი. საცოდავები! ცოტა ხანს დარეტიანებულები ფარფატებდნენ, მერე იგრძნობდნენ თავისუფლებას, ფრთებს მოხდენილად აიქნევდნენ და გაფრინდებოდნენ ულამაზესი ყვავილებისაკენ. ზოგიერთს გულში ჩაეკვროდნენ და ვიცოდი, ბავშვების სიკეთეზე უამბობდნენ.

ერთხელაც... დამთავრდა ზაფხული. ჩამოვედით ქალაქში. აწკრიალდა სკოლის ზარი, მერხებს მივუსხედით და აი, კიდევ ერთი სასწაული...

კლასში ჩემი საყვარელი მეგობარი შემოვარდა, გვერდით მომიჯდა. მონატრებულს ხელი გადამხვია, გულში ჩამიკრა და გაოცდა... მე თვალებდაჭყეტილი შევცქეროდი მას კი არა, მის სამოსს. „რა მოხდა?“ – ამოვიკითხე მის თვალებში. იცით, როგორი კაბა ეცვა ჩემს მეგობარს? – მდელოსფერი. იმ მდელოზე უამრავი პეპელა ამოექარგა ვიღაც ჯადოქარს ულამაზესად. მაშ ეს სასწაული არ იყო? აქ, ქალაქში, ჩვენს კლასში გაგრძელდა თითქოს ბედნიერი არდადეგები. დღესაც დარწმუნებული ვარ (არც მინდა თავი გადავირწმუნო), ჩემმა მეგობარმა განზრახ ამოაქარგვინა კაბაზე მშვენიერი პეპლები, მე რომ გამხარებოდა.

რა ძლიერია რწმენა, მხოლოდ შენ კი არა, თურმე სხვასაც შეუძლია ძლიერი სიყვარული! თუ ნიჭი გაქვს, სხვისი სიამოვნება საკუთარ ბედნიერებად აქციო, სხვაც გააბედნიერო, აუცილებლად დაინახავს ღმერთი!

ასე, ჩემო კარგებო. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, სიყვარულის დიდ ნიჭს, ბედნიერებას, ჩვენი სამშობლოს გასხივოსნებას!



მხატვარი
თეა მიქაია

აწუწუნდა კალმისტარი და მელნის ცრემლი მოიწმინდა.



ოთახში ერთი ორომტრიალი ატყდა.

ახლა საცაა სკოლის ზარიც აწკრიალდება, ლალი კი ისევ თავის ცარიელ ჩანთას დაათრევს და დარბის. ხან ჩოქვით, ხან ხოხვით ჩანთა აავსო, მაგრამ იმ ქოთქოთში რა დაავიწყდა, მერე გეტყვით.
საათი ბრაზობდა და ხმას უმატებდა.

გაქანდა ლალი სკოლისაკენ, კლასის კარი შეაღო და რას ხედავს: ამხანაგები უკვე მერხებთან სხედან და რვეულები გადაუშლიათ.

დაფაზე კი ლამაზი ასოები მიჯრით მიწყობილან და რვეულში გადასვლას მოითხოვენ.

ამ დროს ბარმაცებსა და ეჟნარებს ცრემლები მოდამ მზადა აქვთ.
ჰოდა, ღრიალის დაწყებას არაფერი ეკადა. მერე და რა სირცხვილია ხმამაღალი, ჰირდაღებული ცირიკი.

ზღარბუნა – ძუძგია

ლიზიკოს ზღარბი აჩუქეს.

მკვახე, ბოწოწებიანი წაბლი გინახავთ? ჰოდა, სწორედ იმხელა იყო ზღარბი და ჰგავდა კიდეც. ისეთი ნაზი ნემსები ჰქონდა, არც კი იჩხვლიტებოდა.

ლიზიკომ სახლში ზღარბუნა კალთით მოიყვანა. ხელის მოკიდებას ვერ ბედავდა, მაგრამ მერე გაუთამამდა და გულშიც კი იკრავდა, თავს ევლებოდა.

– რა დაარქვი, ლიზიკო?

– ძუძგია, – პასუხობდა გოგონა და ფუსფუსებდა. მწვანილს უჭრიდა, დიდ ვაშლს დაუგორებდა, ალბათ ეგონა ზურგზე წამოიკიდებსო, მაგრამ ძუძგია სულაც მაჟალო ვაშლისოდენა იყო და აბა, იმ დაბრაწულ ვაშლს რას დააკლებდა. რძეს სრუპავდა სიამოვნებით.

ხან ერთი ფეხსაცმლის ცხვირში ეძინა და ხან მეორის ცხვირში.

– ლოგინი გავუმართე და არ ეკარება, – წუხდა ლიზიკო.

– ეზოში ჩაიყვანე, ბალახებში ჩასვი.

– არა, გამექცევა.

მეზობლები იცინოდნენ ლიზიკოს ნათქვამზე, მაგრამ მართალი იყო თურმე... ერთ მშვენიერ დღეს, რომ იცოდეთ, რა მოხდა! ლიზიკომ ბალახებში ჩასვა ძუძგია.

თვითონ იქვე ჩამოჯდა და კითხვა დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ გაოცებული შემოვარდა ოთახში და გარეთ გამიყვანა.

ბალახებში ჩუმად მიიპარებოდა დედა ზღარბი, უკან ძუძგია მიცუნცულებდა. დედა დროდადრო შვილს მოხედავდა, დროდადრო ჩვენს სახლს შეათვალიერებდა. ნეტავ მადლიერი იყო ამ სახლისა, თუ ბრაზობდა?

– რას იზამ, შვილო, დედამ წაიყვანა, თავს ზევით ძალა არა გაქვს.

– აბა, ერთი დედა არ იყოს!.. სხვას არავის არ გავატანდი! – ამბობდა თვალცრემლიანი გოგონა.

მხატვარი **როენა შელეგია**

ქაღალდი შენი ხელით

ძუძგია ზღარბების გასაკეთებლად დაგჭირდება წაბლის ეკლიანი გარსი და პლასტილინი.



მხატვარი
ანნა კანდელაკი

ორი

ლიზიკოს გაკვეთილად, იცით, რა მისცეს? – ერთს მივუმატოთ ერთი.

– იქნება ორი, იქნება ორი, – მთელი დღე გაიძახოდა გოგონა.

მაგრამ რვეულში ლამაზად ვერ დაწერა დავალება და ორს ორიანი მიუწერა მასწავლებელმა.

– არა უშავს, დედიკო – თქვა ლიზიკომ, – ხვალ ორს მივუმატოთ სამი გვაქვს გაკვეთილად.

– მერე? – ჰკითხა დედამ.

– მერე... იქნება ხუთი! და ხუთიანს დამიწერს მასწავლებელი!

„ეხ მინდა“...

– ლიზიკო, დაიბანე პირი, – უთხრა დედამ გოგონას.
– არ მინდა, არ დავიბან, – უპასუხა ლიზიკომ.
– ლიზიკო, წამოდი, ისაუზმე!
– არ მინდა, არ ვჭამ.
– ლიზიკო, ძილის დროა.
– არ მინდა, არ დავიძინებ.

ასე ჭირვეულობდა ლიზიკო მთელ დღეს. მერე მეზობლის პატარა გოგონას დიდი, ლამაზი, ახალი ბურთი დაუნახა, მოეწონა, სახლში გაიქცა და დედას მოეხვია.

– დედიკო, მიყიდე ლამაზი, დიდი ბურთი.

– არ მინდა, არ გიყიდი, – უპასუხა დედამ.

– რა ცუდი სიტყვა ყოფილა – „არ მინდა“! – ჩაფიქრდა ლიზიკო.

კროსვორდი „ქართული საბავშვო მწერლობა“



შეავსე კროსვორდი და ფერად სვეტში მიიღებ ყველასთვის საყვარელი ქართველი საბავშვო მწერლის სახელსა და გვარს.

მოამზადა
ლელა ცუცქირიძემ

1. ყველაზე მეტად მას უყვარს თაფლი, თაფლის ძებნაში ბურდღუნით დადის;

2. ამშვენებენ ქართულ მითებს. ოჩოკოჩი, ...

3. ის წყალს ადუღებს უცებ, მერე ჩიტივით უსტვენს.

4. მიწაზე წევს, ხან ღობეზე ეკიდება, „კონკიაში“ გადაიქცა ერთხელ ეტლად.

5. ციტრუსია – ვიტამინის საბადო, მიირთმევ და შეგერგება წამლადო.

6. ერთი პატარა გოგოა, ლამაზ სიმღერას მღერის, ბებოსთან რომ მიდიოდა, ტყეში შემოხვდა მგელი.

7. გაიძახის ყიყლიყოს, ადრიანად ყივისო.

8. თუ შეცდომა დაუშვი, როცა ხატავ მაშინ, ამ შეცდომას ... სულ ერთ წამში წაშლის.

9. მეგობრად ჰყავს შვიდი ჯუჯა, ვაშლს თუ შეჭამს, თვალებს ხუჭავს.

10. კატის შვილი კნუტია, ცხენის შვილი – კვიცი, კამეჩის შვილს რა ჰქვია, აბა, ეს თუ ვიცით?

11. ბებო აკრავს თონეში, ებრაწება ყუა, ცხელ-ცხელი და კრაწუნა, დიდ-პატარას უყვარს.

12. შინაური ცხოველია, ჯიუტი და გრძელყურება, რასაც სთხოვენ, როცა უნდა, მხოლოდ მაშინ ეყურება.

13. ბალი, ვაშლი, მსხალი, კივი – ყველა ერთად არის ...

14. ერთ ზღაპარში ბიჭია, მწყემსავს ჭიამაიას, უყვარს ციცინათელების დედოფალი ბაია.

15. გიყვება ათას ამბავს, ჯადოსნურსა თუ მართალს.

ბურთია თუ ტატია

მხატვარი
ნატალია კუცია

ISSN 0132-5965

მთავარი რედაქტორი: დოდო წივწივაძე
ნახატი ყდაზე: თეა მიქაიასი
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
http://www.dila.ge, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

საქართველოსკულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

მწერალთა
სახლი